ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 497/01
17/01/2019

497-01-2-201901171156

შპს „გაზპროექტი 2009“-ს

ქ. თბილისი, ცხვედაძის ქ. №7

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 15 იანვრის №383 განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, შუახევსა და ხულოს მუნიციპალიტეტებში „შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) P=6კგ/სმ2 გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის“ შესახებ.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოდგენა სამინისტროში, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013